მემორანდუმი

სსიპ კოლეჯ ,,იბერიას" და სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.ქუთაისი 20.03.2023 წელი

ერთი მხრივ, სსიპ კოლეჯი ,,იბერია'' (შემდგომში „კოლეჯი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით და მეორე მხრივ, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში N1 საჯარო სკოლა) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ სალომე სარალიძე (შემდგომში წოდებულნი მხარეებად), ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1. მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს:

   ა) N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების ინფორმირებას და ჩართვას პროფესიული სასწავლებლის ცხოვრებაში;

   ბ) N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევა ტექნოლოგიების კუთხით. დაინტერესების შემთხვევაში კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობა და მეთოდიკური კონსულტირება.

   გ) საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის კურსის გატარება ან/და მეთოდიკური კონსულტირება N1 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ან/და ადმინისტრაციის პერსონალთან.

   დ) კოლეჯის და N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების-პროფესიული სტუდენტების ერთობლივი პროექტების განხორციელება.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზნებისათვის მხარეები:

1. გამოთქვამენ მზადყოფნას:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის
21.03.2023

ა) თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში, ხელი შეუწყონ ერთმანეთს წინამდებარე მემორანდუმში გათვალისწინებული პირობების შესრულებაში.
ბ) გამოთქვამენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, რომელიც ეფუძნება მხარეთა კეთილი ნების თავისუფალ გამოვლენას.
გ) მიიჩნევენ, რომ სასარგებლო იქნება ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა დონეებზე კონსულტაციების გამართვა და მოსაზრებების გაცვლა.
დ) თანხმდებიან პატივისცენ ერთმანეთის სახელს, იმიჯსა და ავტორიტეტს.
ე) თანხმდებიან, რომ მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობისას იხელმძღვანელებენ თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპებით.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

მხარეები იღებენ შემდეგ ვალდებულებებს:

1. კოლეჯი თანახმაა, N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ტექნოლოგიების კუთხით.
2. მემორანდუმის მიზნებისთვის კოლეჯი თანახმაა, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გააცნოს და მეთოდიკური კონსულტირება გაუწიოს დაინტერესებულ პირებს.
3. N1 საჯარო სკოლა თანახმაა, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული კურსი გაატარებინოს ან/და მეთოდიკური კონსულტირება გაუწიოს სკოლის მასწავლებლებმა ან/და ადმინისტრაციის პერსონალმა.
4. მხარეები უზრუნველყოფენ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა სახის თანამშრომლობას.
5. ხელი შეუწყოს კოლეჯის და N1 საჯარო სკოლის თანამშრომლობას ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის განმავლობაში.
2. წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისათვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით.

2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მემორანდუმის თითოეულ მხარეს.
3. წინამდებარე მემორანდუმზე ხელის მოწერით მხარეები ადასტურებენ მის ძალაში შესვლას:

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

სსიპ კოლეჯი „იბერია"

ს/ნ 212682051
მის: ქ. ქუთაისი, ზ.ანჯაფარიძის ქ. N61

ტელ: 599058056

ელ.ფოსტა info@iberia.edu.ge

დირექტორი

ირაკლი ავალიანი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა

ს/ნ 212708042
მის: ქ.ქუთაისი, ცისფერყანწელთა N6

ტელ: 577277501

ელ.ფოსტა: kutaisi1@mes.gov.ge

დირექტორის მ/შ

სალომე სარალიძე